# საქართველო, ახმეტის მუნიციპალიტეტის
# ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

KA000094550834717

0900 ქ. ახმეტა, რუსთაველის ქ.N48 Tel:+995 349 32 22 95; +995 349 22 19 46
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 28

20 / აპრილი / 2017 წ.

## განკარგულება

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხული სოფელ ომალოს (თუშეთი) ტერიტორიაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N 50.26.33.428 , ფართობი- 705 კვმ ) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის (აღნაგობის) უფლებით უსასყიდლოდ ერთი წლის ვადით გადაცემაზე თანხმობის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტისა-4 და მე-5 პუნქტების, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ს 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქონების საწყისი საფასურის განსაზღვრისა და აუქციონის ჩატარების წესები“-ს 21-ე და 22-ე მუხლების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო

### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას მის საკუთრებაში რიცხული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N 50.26.33.428, ფართობი 705 კვმ) პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო აღნაგობის უფლებით საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის გადაცემაზე.
2. სარგებლობის უფლების გადაცემა განხორციელდეს ერთი წლის ვადით გადაცემულ მიწის ფართობებში წყალსადენ-საკანალიზაციო სისტემების მოწყობის მიზნით.
3. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N41).

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

თამარ ყირიმლიშვილი